საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა
პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
და მისი ერთ-ერთი მთავარი ორგანო ეკოსოსი

ლექტორი : ვეფხვია გვარამია
საგანი : საერთაშორისო სამართალი
პრეზენტაციის ავტორი : ელენე ორჯონიკიძე

10/06/17

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

გაერო თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე დიდი და ავტორიტეტული ორგანიზაციაა, რომელიც სუვერენულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი გაერთიანება და საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციაა. გაერო თავად არ ფლობს სუვერენიტეტს ორგანიზაციის ნებას წევრი-სახელმწიფოები განსაზღვარავენ, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით - კონსესუსის ან კენჭისყრის გზით

გაეროს მიზნები

შტაბ ბინა: ნიუ-იორკი
ოფიციალური ენები : ინგლისური არაბული ჩინური ფრანგული ესპანური რუსული
:გაერთიანებულია193 სახელმწიფო

გაეროს წესდების მიხედვით მისი ძირითადი მიზანია:

დაეხმაროს მსოფლიოს ყველა ხალხის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს, ასევე მიზნად ისახავს:

- დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება ხალხთა თვითგამორკვევისა და თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით განავითაროს მეგობრული ურთიერთობები სხვადასხვა ერებს შორის

- გააღრმავოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული სახის საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განვითარების მიზნით

- გახდეს საერთაშორისო ცენტრი ამ მიზნების შესათანხმებლად და განსახორციელებლად.

მთავარი ამოცანაა კაცობრიობის წინაშე მდგომი ძირითადი პოლიტიკური პრობლემების მოწესრიგება. ამავე დროს გაეროს პოლიტიკური მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური ხასიათის საკითხების გადაწყვეტასთან.

გაეროს ძირითადი ორგანოები

გაეროს სისტემაში შედიან აგრეთვე:

გაეროს დამხმარე ორგანოები: მსოფლიო სასურსათო საბჭო, გაეროს ბავშვთა ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა და სხვები.
გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, იუნესკო, იუნიდო და სხვები.
სხვა ავტონომიური საერთაშორისო ორგანიზაციები: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო.

გენერალური ასამბლეა როგორც მთავარი ორგანო

ს არის გაეროს ძირითადი სათათბირო
ორგანო,მისი მნიშვნელობა იმით არის
მორჩეული რომ მასში წარმოდგენილია
გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო.
ნერალური ასამბლეა განიხილავს ისეთ
მნიშვნელოვან
ითხებს როგორიც არის : საყოველთაო
მშვიდობა, ადამიანის უფლებები,
მსოფლიო მოსახლეობის ზრდა,
ეკოლოგიური პრობლემები
და აშ .

გენერალური ასამბლეის მიერ დასამტკიცებელ საკითხებს უმთავრესად მისი 6 ძირითადი კომიტეტი განიხილავს:

I კომიტეტი - განიარაღებისა და საერთაშორისო უსაფრთხოებისა საკითხებს

II კომიტეტი - ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებს

III კომიტეტი - სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურის საკითხებს

IV კომიტეტი - სპეციალურ პოლიტიკურ და დეკოლონიზაციის საკითხებს

V კომიტეტი - საბიუჯეტო და ადმინისტრაციულ საკითხებს

VI კომიტეტი - სამართლებრივ საკითხებს.

გაეროს მთავარი ორგანოები

- 2
  - უშიშროების საბჭო
  - ეს არის საყოველთაო მშვიდობის პასუხისმგებელი მთავარი ორგანო, რომელიც შედგება 15 წევრისგან. 5 მათგანი - აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთის ფედერაცია, საფრანგეთი და ჩინეთი - საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსით სარგებლობენ . დროებითი 10 წევრი კი 2 წლის ვადით აირჩევა

- 3
  - საერთაშორისო სასამართლო
  - იმ დავებს განიხილავს, რომლებშიც მოსარჩელე მხარეებს სახელმწიფოები წარმოადგენენ. მისი გადაწყვეტილებები რეკომენდაციულ ხასიათს ატარებს და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით დასკვნით შემოიფარგლება. გაეროს ამ ორგანოს ნებისმიერმა წევრმა-სახელმწიფომ შეიძლება მიმართოს.

- 4
  - სამეურნეო საბჭო
  - მისი ამოყალიბების უმთავრეს მიზანს, ერთიანი სისტემის მეშვეობით, სამანდატო (სამეურვეო) ტერიტორიების მეთვალყურეობა წარმოაედგენს. მისი ფუნქცია წესდებითაა განსაზღვრული და 11 ტერიტორიის მოსახლეობის კეთილდღეობის განვითარება და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის პროცესის ხელშეწყობა აკისრია.

(5) გაეროს სამდივნო

ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ორგანოს წარმოადგენს. იგი გაეროს მიერ შემუშავებული პოლიტიკისა და კურსის განხორციელებას უწევს კოორდინაციას, ახორციელებს გაეროს პროგრამებისა და პროექტების ადმინისტრირებას და ორგანიზაციის ძირითად აღმასრულებელ რგოლს წარმოადგენს.

გაეროს სამდივნოს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს, მას გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე 5 წლის ვადით ირჩევს.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ეკოსოსი)



ეკოსოსი-გაეროს ძირითადი ორგანოა, რომელიც ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სფეროში მისდამი დაქვემდებარებული დამხმარე ორგანოებსა და ინსტიტუტების საქმიანობას წარმართავს. საბჭო შედგება 54 წევრისაგან, რომელიც გენერალური ასამბლეის მიერ 3 წლის ვადით აირჩევა. საბჭოზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ეკოსოსი უმნიშვნელოვანესი ფორუმია, რომელზეც განიხილავენ საერთაშორისო სისტემაში არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემატიკას, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს წევრ-სახელმწიფოთა მთავრობებისა თუ გაეროს სისტემის შემადგენელი ორგანიზაციებისათვის.

ეკოსოსის შეხვედრები წელიწადში ერთხელ ჟენევაში ან ნიუ-იორკში იმართება, რომელშიც სახელმწიფოთა უმაღლესი პირები მონაწილეობენ. სესიის ხანგრძლივობა 5 კვირამდეა. სესიებს შორის ეკოსოსის საქმიანობას მისი სხვადასხვა ორგანოები, კომისიები და კომიტეტები წარმართავენ. ეკოსოსის შემადგენლობაში 9 ფუნქციური კომისია და 4 მუდმივი კომიტეტიც შედის:1) პროგრამებისა და საკოორდინაციო; 2) განახლების; 3) არასამთავრობო ორგანიზაცია; 4) სამთავრობათაშორისო სააგენტოებთან ურთიერთობის კომიტეტი.

ეკოსოსი რეგულარულად იწვევს საერთაშორისო კონფერენციებს და ამზადებს გენერალური ასამბლეისთვის წარსადგენ კონვენციათა სამუშაო მასალებს. კონსულტაციებისა და რეკომენდაციების გაწევის გზით კოორდინაციას უწევს სპეციალიზებული სააგენტოების საქმიანობას. ასრულებს მეკავშირის როლს მათ და წევრ-სახელმწიფოთა მთავრობებსა თუ თავად გენერალურ ასამბლეას შორის. მუდმივად აწარმოებს კონსულტაციებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთა საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება საბჭოს ინტერესებს. უკანასკნელ წლებში ეკოსოსმა გააძლიერა საკოორდინაციო ფუნქციები, რითაც მას მეტი საშუალება ეძლევა, წარმატებით განახორციელოს საკუთარი ფუნქციები ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო თუ სხვა მსგავს პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

გმადლობთ ყურადღებისთვის !

ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს განსხვავებული რელიგიები, სხვადასხვა ენები, მივეკუთნოთ სხვადასხვა რასებს, მაგრამ ჩვენ ყველა ვეკუთვნით ერთადერთ ადამიანურ რასას. ჩვენ ყველა ვიყოფთ ძირითად ფასეულობებს. "
კოფი ანანი

გამოყენებული წყაროები :

. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი : ავტორი: ლ. ალექსიძე (2005)
. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მ.კვაჭაძე; ნ. ჩერქეზიშვილი (2005 წ.)
. http://ka.wikipedia.org
. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php